საჯარო სამართლის იურიდიული პირი _
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-11/15

22 თებერვალი, 2018 წ.

ქ. ბათუმი

ბსუ-ს სპეციალური სასწავლო სოციალური პროგრამის
„სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში“ 2017-2018 სასწავლო წლის
მეორე სემესტრში განხორციელების მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე და 24–ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე–15 მუხლის, „სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სპეციალური სასწავლო სოციალური პროგრამის „სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში“ განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 9 მარტის N4 გადაწყვეტილებისა და სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსის მერაბ დიასამიძის 2018 წლის 22 თებერვლის (NMES 3 18 00196108) მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს კონკურსი ბსუ-ს სპეციალური სასწავლო სოციალური პროგრამის „სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში“ 2017-2018 სასწავლო წლის მეორე სემესტრში განხორციელების მიზნით.
2. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვროს 20 000 (ოცი ათასი) ლარით.
3. კონკურსის ჩატარების ვადები განისაზღვროს შემდეგნაირად:

ა) ბსუ-ს სტუდენტთა განცხადებებისა და საბუთების მიღების პერიოდი - 2018 წლის 26 თებერვლიდან 9 მარტის ჩათვლით, შაბათ-კვირის გარდა, 9:30 სთ-დან 17:30 სთ-მდე;
ბ) საკონკურსო კომისიის მიერ წარმოდგენილი განცხადებებისა და საბუთების განხილვის პერიოდი - 2018 წლის 9 მარტიდან 13 მარტის ჩათვლით;
გ) კონკურსის შედეგების გამოქვეყნება კომისიის სამუშაო ადგილზე (ბსუ-ს III კორპუსი, N308 ოთახი)- 2018 წლის 14 მარტი.
დ) კონკურსის შედეგების გასაჩივრება (აპელაცია) 2018 წლის 15 მარტი (ბსუ-ს კანცელარიის მეშვეობით);
ე) საკონკურსო კომისიის მიერ სააპელაციო საჩივრების განხილვა და საბოლოო შედეგების ბსუ-ს ვებგვერდზე გამოქვეყნება - 2018 წლის 16 მარტი;
ვ) შეღავათის მინიჭების შესახებ, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძნების გამოცემა 2018 წლის 20 მარტი.

4. საკონკურსო განცხადებებისა და საბუთების მიღება განხორციელდეს ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, სპორტისა და კულტურის სამსახურში (ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის 35/32, მესამე კორპუსის N308 ოთახში) და გატარდეს სარეგისტრაციო ჟურნალში.

4. პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად, სტუდენტებმა ბსუ-ს კანცელარიაში უნდა წარმოადგინონ:
ა) განცხადება (**თანდართული ფორმით - დანართი 1**);
ბ) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობისა (პასპორტის) და დაბადების მოწმობის ასლი (წარედგინება დედანთან ერთად);
გ) ფაკულტეტის მიერ გაცემული ცნობა სტუდენტის აკადემიური მოსწრების შესახებ (ცნობა გაიცემა მხოლოდ სტუდენტის აქტიურ სტატუსში მყოფ პირებზე);
დ) შეღავათის კრიტერიუმის/კატეგორიის განსაზღვრისათვის საჭირო დოკუმენტაცია, რომელიც გათვალისწინებულია ბსუ-ს სპეციალური სასწავლო სოციალური პროგრამის „სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში" განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 9 მარტის N4 გადაწყვეტილებით (დამტკიცებული პროგრამის მე-4 მუხლი);

5. ბსუ-ს სპეციალური სასწავლო სოციალური პროგრამის „სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში 2017-2018 სასწავლო წლის მეორე სემესტრში განხორციელების მიზნით, შეიქმნას საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:
ა) მერაბ დიასამიძე – სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი (კომისიის თავმჯდომარე);
ბ) რევაზ ოკუჯავა – სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახურის კულტურისა და სპორტის განყოფილების უფროსი (კომისიის წევრი);
გ) ზურაბ პაპუნიძე– სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარე (კომისიის წევრი);
დ) გიორგი დიასამიძე– იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი – კომისიის წევრი;
ე) ირმა დიასამიძე – საფინანსო–ეკონომიური დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი – კომისიის წევრი;
ვ) თეონა აბულაძე – სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახურის კულტურისა და სპორტის განყოფილების მოწვეული სპეციალისტი (კომისიის მდივანი);

6. კომისიამ მუშაობისას იხელმძღვანელოს წინამდებარე გრძანებითა და ,,სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სპეციალური სასწავლო სოციალური პროგრამის „სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში" განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 9 მარტის N4 გადაწყვეტილებით.

7. გრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე (ველში ,,სწავლა" და ,,კონკურსები") და უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში თვალსაჩინო ადგილას, ასევე გასაცნობად და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

8. ამ გრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახურს.

9. გრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ჯ. ანანიძე